სსიპ ,,საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“
გენერალური დირექტორის 2013 წლის 26 აგვისტოს N62
განკარგულებით შექმნილი საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 08 ოქტომბერი 2013 წელი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

პრომეთე შევარდნაძე–გენერალური დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

<u>**კომისიის წევრები:**</u>

ნინო მიქანაძე-მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

დავით ტყემალაძე–ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი.

ავთანდილ ჭიჭინაძე- სტანდარტიზაციის სამსახურის უფროსი.

ავთანდილ მაღლაკელიძე-საერთაშორისო ურთიერთობების, პროტოკოლისა და მარკეტინგის განყოფილების სპეციალისტი.

<u>**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:**</u> საფინანსო სამსახურის შესყიდვების სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი შავლეგო ხუნაშვილი და იურისტის მოვალეობის შემსრულებელი სალომე სვინტრაძე.

<u>**სხდომას არ ესწრებოდნენ:**</u>

გიორგი ჩიტაძე-სტანდარტების დეპარტამენტის დირექტორი (მივლინება 2013 წლის 3 ოქტომბრის განკარგულება №49/მ-ის საფუძველზე).

სიმონ სუხიშვილი-რადიაციული მეტროლოგიის განყოფილების უფროსი (შვებულება 2013 წლის 3 ოქტომბრის №63/შვ-ის საფუძველზე).

დღის წესრიგი: სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსა“ და შპს ,,ელემსს“ შორის გაფორმებული 2013 წლის 11 ივნისის გ/01-13 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შპს ,,ელემსის“ მიერ წარმოდგენილი, კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით (CPV71200000) განსახორციელებელი საკონკურსო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/დამტკიცება.

კომისიამ განიხილა: სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოში ევროკავშირის (CIB) წარმომადგენლობას შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის ENPI/2012/301-051 ფარგლებში, შპს ,,ელემსის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით ზემოაღნიშნული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 111000 (ასთერთმეტი ათასი) ლარი.

კომისიამ განიხილა შპს ,,ელემსის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განცხადების პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

კომისიამ დაადგინა: დამტკიცდეს არსებული სახით საპროექტო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადება და კონკურსის დასრულების ვადად განისაზღვროს 2013 წლის 16 ოქტომბერი. ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წ. 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, გაეგზავნოს საკონკურსო განცხადება თანდართული დოკუმენტაცით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე – contest@procurement.gov.ge გამოქვეყნების მიზნით.

<u>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:</u>

პრომეთე შევარდნაძე

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ნინო მიქანაძე

დავით ტყემალაძე

ავთანდილ ჭიჭინაძე

ავთანდილ მაღლაკელიძე